საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №16
2024 წლის 20 ივნისი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის, მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი: 300.280.000.16.009.012.460) 11^2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ელექტროენერგიის უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფები:

ა)	3,3-6-10 კილოვოლტი (საყოფაცხოვრებო მომხმარებელი):		
	2024 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის 1 იანვრამდე	-	16.416 თეთრი/კვტსთ;
ბ)	220/380 ვოლტი (მცირე საწარმოები):		
	2024 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის 1 იანვრამდე	-	11.612 თეთრი/კვტსთ;

გ) მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში (სს „ეპ ჯორჯია მიწოდების“ აბონენტებისათვის) საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

გ.ა)	101 კვტსთ-ის ჩათვლით:		
	2024 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის 1 იანვრამდე	-	1.553 თეთრი/კვტსთ;
გ.ბ)	101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით:		
	2024 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის 1 იანვრამდე	-	2.923 თეთრი/კვტსთ;
გ.გ)	301 კვტსთ-დან და მეტი:		

	2024 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის 1 იანვრამდე	-	4.909 თეთრი/კვტსთ.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**დავით თვალაბეიშვილი**
კომისიის წევრი	**გივი სანიკიძე**